



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

№ 26/19

..... 12 12 201/ წ.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების
ასოციაციის თავმჯდომარეს გულიკო შოშიტაშვილს

ქალბატონო გულიკო,

თქვენი, მიმდინარე წლის 13 ოქტომბრის №01/02-43 და 29 ნოემბრის №01/02-46
წერილების პასუხად გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსი მარგარიტა სიხარულიძე



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

№ 4328-გ

01 11 2011

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ქ-ნ მარგარიტა სიხარულიძეს

ქალბატონო მარგარიტა,

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, თქვენს მიერ 2011 წლის 20 ოქტომბერს გადმოგზავნილი №2584 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე გ. შოშიტაშვილის 2011 წლის 13 ოქტომბრის №01/02-43 წერილში მითითებულ-თეთრიწყაროს წყალმომარაგების რეაბილიტაციის (კონტრაქტი № EIB/W/ICB/04) სამუშაოებს ახორციელებს ერთობლივი წარმო- შპს „მშენებელი 80“ და შპს „ბელდ ინვესტი“, ღირებულებით 2,051,225.98 ლარი. სამუშაოების დასრულების ვადაა 2012 წლის 2 მარტი.


პროექტი მიმდინარეობს ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, ანუ საერთაშორისო ხელშეკრულების შესასრულებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად მასზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები და მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენს რა საჯარო ინფორმაციას, მისი გაცემის ვალდებულება არ არსებობს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ქალბატონმა გ. შოშიტაშვილმა ანალოგიური ინფორმაციის მიღების მოთხოვნით მომართა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რაზედაც ზემოთ მითითებული საფუძველით ეთქვა უარი.

- დანართი: 1. სამსახურებრივი ბარათის ასლი 1 ფურცელზე;
- 2. 2011 წლის 15 სექტემბრის წერილის ასლი 1 ფურცელზე;
- 3. ფონდიდან გ. შოშიტაშვილის სახელზე გაგზავნილი 2011 წლის 19 ოქტომბრის №2617-გ წერილის ასლი 1 ფურცელზე.

4328 / 11 11

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე  დ. სირაძე